ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4427751

ნომერი: AR1662728

თარიღი : 19.02.2019

გაცემის თარიღი : 22.03.2019

გაცნობის თარიღი : 22.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 15 , (ნაკვ.01/027);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვახტანგ ოსიტაშვილი პ/ნ 01008039077
- თბილისი გ.შატბერაშვილის ქ. N 4 ბ. 19

ორგანიზაცია:
- სს "ინდუსტრია 21" კოდი: 208140224

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან აბდალაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: სს"ინდუსტრია 21"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 208140224

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვახტანგ ოსიტაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008039077

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ნ/1029-1 (31/10/2007); 1740250
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 18.02.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე ვახტანგ ოსიტაშვილის 2019 წლის 19 თებერვლის NAR1662728 განცხადება.

2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 31 ოქტომბრის N6/1029 ბრძანებაში და მრავალბინიანი კომპლექსის A,B,C და D ბლოკების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,, A ბლოკი - მოშენება - 1151.2 კვ.მ
საცხოვრებელი - 9900.7 კვ.მ
საზაფხულო - 882.5 კვ.მ
კომერციული - 913.8 კვ.მ
ავტოსადგომი - 1114.3 კვ.მ
B ბლოკი - მოშენება - 259.8 კვ.მ
სარდაფი - 226.7 კვ.მ
კომერციული - 606.2 კვ.მ
C ბლოკი - მოშენება - 602.7 კვ.მ
სარდაფი - 514.7 კვ.მ
კომერციული - 458.0 კვ.მ
საცხოვრებელი - 6450.0 კვ.მ
საზაფხულო - 324.7 კვ.მ
D ბლოკი - მოშენება - 272.6 კვ.მ
სარდაფი - 12.3 კვ.მ
ავტოსადგომი - 2531.0 კვ.მ
კომერციული - 960.0 კვ.მ
საზაფხულო - 19.0 კვ.მ. “.

3. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 31 ოქტომბრის N6/1029 ბრძანებაში და N6/1029-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ: ბრძანების მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპექსის B, C და D ბლოკების მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 22 მარტიდან 2022 წლის 22 მარტის ჩათვლით.“.

4. უარი ეთქვას მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის A ბლოკის მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებაზე, ვინაიდან განაცხადზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საპროექტო ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით. საჭიროა, შესაბამისი ელექტრონული განაცხადით მომართოთ სამსახურს A ბლოკის შეთანხმებული პროექტის კორექტირებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე და დამატებით ფაილში წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო–სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი; მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის კალენდარული გრაფიკი წარმოადგინეთ ნაწარმოები მშენებლობის შესაბამისად (ეტაპების სახით გაწერეთ დარჩენილი სამუშაოები) და წარმოადგინეთ არსებული სიტუაციის ამსახველი უახლესი

ფოტომასალა თარიღის მითითებით.

5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 31 ოქტომბრის N6/1029 ბრძანებასთან, N6/1029-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 თებერვლის N1740250ბრძანებასთან ერთად.

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.